პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 87 (4597)

1972 წ. 5 მაისი, პარასკევი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## 5 მაისი საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღეა!



სურათზე: ვეტერან სპორტსმენთა კოლონა სამაისო დემონსტრაციაზე. ა. კოტრიაშვილის ფოტო.

მთელ ქართველ ხალხთან ერთად მაისის დღესასწაული ზეიმით აღნიშნეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა. სადღესასწაულოდ მორთულ რუსთაველის პროსპექტზე მხნე ნაბიჯით ჩაიარეს ქართული სპორტის ვეტერანებმა. მკერდს მათ მსოფლიოს, ევროპისა და საკავშირო ჩემპიონატებში მიღებული ათობით ჯილდო უმშვენებდა. ჩვენი სპორტის სახელოვანი ისტორია წელგამართული მიაბიჯებდა მთავრობის ტრიბუნის წინ თავისი ძლიერებისა და ღირსების შეგნებით.

რაოდენ შთამბეჭდავი იყო ამ დიდებული მსვლელობის რიტმი. თმაშევერცხლილ ვეტერანებს სახეზე ღიმილი უთამაშებდათ — მაისის, მზისა და სიხარულის ღიმილი.

## ბრძოლის დიდი თასი დაიბრუნეს

კატოვიცე, 1 მაისი. სსრ კავშირის „კლასიკოსთა" ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატში გუნდური გამარჯვება მოიპოვა და დაიბრუნა ბრძოლის დიდი თასი, რომელიც აქამდე ბულგარელთა საკუთრება იყო. თუ როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები ქვეყნებს შორის, ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან:

| | I | II | III |
|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 2 | 5 | 1 |
| ბულგარეთი | 4 | 1 | 1 |
| რუმინეთი | 1 | 1 | 3 |
| პოლონეთი | 1 | 1 | 2 |
| გდრ | 1 | — | — |
| საბერძნეთი | 1 | — | — |
| ფინეთი | — | 1 | — |
| უნგრეთი | — | 1 | — |
| ჩეხოსლოვაკია | — | — | 2 |
| იუგოსლავია | — | — | 1 |

სსრ კავშირის მოჭიდავეთაგან პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგი ა. ნაზარენკოსა (82 კგ) და ნ. იაკოვენკოს (100 კგ) ჰქონდათ. საბჭოთა ნაკრების კაპიტანმა ნაზარენკომ ყველა ბრძოლა დამაჯერებლად მოიგო. პოლონეთის პრესა განსაკუთრებით აღფრთოვანებულია ნაზარენკოს დახვეწილი ტექნიკით. რაც შეეხება იაკოვენკოს, ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა გ. საპუნოვმა აღნიშნა, რომ იგი არასდროს ყოფილა ასეთ კარგ ფორმაში.

წარმატებით იასპარეზა თბილისელმა ო. ბლიაძემაც (90 კგ). საერთოდ, ამ წონაში ძლიერი შემადგენლობა იყო თავმოყრილი და ამიტომაც მეტოქეები დიდი გაჭირვებით მიიკვლევდნენ გზას ფინალისკენ. ბლიაძემ დაამარცხა ყველა კონკურენტი, ერთის გარდა. ეს ერთი ბულგარელი ს. ნიკოლოვია, რომელმაც ოქროს ჯილდო მიიღო.

გთავაზობთ პრიზიორთა სამეულებს.

48 კგ. 1. გ. ბერჩიანუ (რუმინეთი), 2. ს. ანგელოვი (ბულგარეთი), 3. ვ. ზუბკოვი (სსრ კავშირი).

52 კგ. 1. ი. მიხალიკი (პოლონეთი), 2. ვ. კონსტანტინოვი (სსრ კავშირი), 3. კ. კიროვი (ბულგარეთი).

57 კგ. 1. ხ. ტრაიკოვი (ბულგარეთი), 2. ი. სოკოლოვი (სსრ კავშირი), 3. ი. ბაჩუ (რუმინეთი).

62 კგ. 1. გ. მარკოვი (ბულგარეთი), 2. მ. ლააკსო (ფინეთი), 3. კ. ლიეპინი (პოლონეთი).

68 კგ. 1. ი. პენელი (გდრ), 2. ა. შტეერი (უნგრეთი), 3. ა. სუპრონი (პოლონეთი).

74 კგ. 1. პ. გალაქტოპულოსი (საბერძნეთი), 2. კ. ხალილოვი (სსრ კავშირი), 3. გ. მახა (ჩეხოსლოვაკია).

82 კგ. 1. ა. ნაზარენკო (სსრ კავშირი), 2. ი. გაბორი (რუმინეთი), 3. მ. იანოტა (ჩეხოსლოვაკია).

90 კგ. 1. ს. ნიკოლოვი (ბულგარეთი), 2. ო. ბლიაძე (სსრ კავშირი), 3. დ. ნიზავიჩი (იუგოსლავია).

100 კგ. 1. ნ. იაკოვენკო (სსრ კავშირი), 2. ა. სკშიდლევსკი (პოლონეთი), 3. ნ. მარტინესკუ (რუმინეთი).

მძიმე: 1. ა. ტომოვი (ბულგარეთი), 2. ა. კოჩნევი (სსრ კავშირი), 3. ვ. დულინსკი (რუმინეთი).

გუნდური ადგილები: 1. სსრ კავშირი — 44 ქულა, 2. ბულგარეთი — 39,5, 3. რუმინეთი — 28, 4. პოლონეთი — 25,5, 5. გდრ — 16,5, 6. საბერძნეთი — 10, 7. ფინეთი — 10, 8. უნგრეთი — 9, 9. ჩეხოსლოვაკია — 9, 10. იუგოსლავია — 5,5.

### ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

## საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს შორის 1971 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის მზადების პერიოდში რესპუბლიკის ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს: საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების 1971 წლის გეგმა-ვალდებულებები.

შარშანდელი წლის მანძილზე ფიზკულტურელთა რიცხვი 12119 კაცით გაიზარდა და ამჟამად რესპუბლიკის მოსახლეობის 24,7 პროცენტს შეადგენს. მომზადდა 246 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, 11 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის, აჭარის ასსრ, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, აგრეთვე, სამტრედიის, მახარაძის, თელავის, ონის, გარდაბნის, ცხაკაიას, დუშეთის, აბაშის, ლანჩხუთის, ორჯონიკიძის რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა. მათ ფიზკულტურელთა რიგებში გააერთიანეს მოსახლეობის 30-35 პროცენტი, გადაჭარბებით შეასრულეს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნიშნოსნების, სპორტსმენ-თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების წლიური გეგმა-ვალდებულებები, დიდი წვლილი შეიტანეს სსრ კავშირისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა მომზადების წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში.

1971 წელს მარტო თბილისში მომზადდა 142, ქუთაისში 26, აჭარაში 20, აფხაზეთში 18, რუსთავში 12, გორში 4, მცხეთასა და თელავში 3-3, ცხაკაიაში 2, ჭიათურაში, ზუგდიდში, სამტრედიაში, მახარაძეში, აბაშაში, კასპში, ახალქალაქში, ახალციხეში, ლანჩხუთში, ორჯონიკიძეში კი თითო სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

კომიტეტი ადგენს:

1. ფიზკულტურასა და სპორტში 1971 წელს მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისთვის დაჯილდოვდნენ:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებითა და საპატიო სიგელებით:

თბილისისა და ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები;

სამტრედიის, ლანჩხუთის, მცხეთის, მახარაძისა და თელავის რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები.

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საპატიო სიგელებით:

აჭარისა და აფხაზეთის ასსრ, ფოთის, რუსთავის, ზუგდიდის, გორისა და ჭიათურის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტები;

აბაშის, ონის, ორჯონიკიძის, თეთრიწყაროს, წულუკიძის, დუშეთის, ასპინძის, კასპის, ცხაკაიას, გარდაბნის, ახალქალაქისა და ახალციხის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტები.

2. ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის უნარიანი ხელმძღვანელობისთვის დაჯილდოვდნენ კომიტეტის საპატიო სიგელებითა და ერთი თვის ხელფასით ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან:

თბილისის (გ. შარაშიძე), აჭარის ასსრ (ზ. მამუჭაძე), აფხაზეთის ასსრ (ჯ. გუბაზი), ქუთაისის (ლ. ახვლედიანი), გორის (გ. მეყანწიშვილი), ჭიათურის (ზ. ბარათაშვილი), რუსთავის (ო. ჯებაშვილი), ფოთის (ბ. გოგიჩაიშვილი), ზუგდიდის (გ. ლოგუა), სამტრედიის (გ. კალაძე), ლანჩხუთის (გ. წილოსანი), მცხეთის (ფ. ხუროშვილი), მახარაძის (ო. კიშინსკი), აბაშის (ს. ტყებუჩავა), თეთრიწყაროს (ა. ჩარექიშვილი), ონის (შ. ქოჩლაძე), ორჯონიკიძის (ა. მაჭავარიანი), ასპინძის (ვ. ცინაძე), დუშეთის (მ. კარიაული), კასპის (გ. კიკაჩეიშვილი), ცხაკაიას (შ. ჩიქობავა), გარდაბნის (ვ. ნუცუბიძე), წულუკიძის (ა. ყუფარაძე), ახალქალაქის (კ. ოვანოღლიანი), ახალციხის (ჟ. ბოგოლაძე) ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარენი.

## 1971 წელს რესპუბლიკის ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა მუშაობის შედეგების შესახებ

საქართველოს ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, პროფკავშირთან, კომკავშირთან და საზოგადოებრივ აქტივთან ერთობლივი მუშაობით 1971 წელს, საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისთვის მზადების პერიოდში ახალ წარმატებებს მიაღწიეს მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაში.

რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა მუშაობის შედეგად 1971 წელს ფიზკულტურელთა რიცხვი 12119 კაცით გაიზარდა და ახლა რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რაოდენობის 24,7 პროცენტს შეადგენს.

შარშან რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებებმა და უწყებებმა მოამზადეს 11 საერთაშორისო კლასისა და 246 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

კომიტეტმა დაადგინა:

1. ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების შარშანდელი გეგმა-ვალდებულებების წარმატებით შესრულებისთვის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები გადაეცეთ სპორტსაზოგადოებების „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოებს.

2. რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდნენ:

ა) საპატიო სიგელებითა და კომიტეტის გარდამავალი ვიმპელებით — სპორტსაზოგადოებების „განთიადისა" და „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოები;

ბ) კომიტეტის საპატიო სიგელებით — „შრომითი რეზერვების", „სპარტაკისა" და „ლოკომოტივის" რესპუბლიკური საბჭოები.

3. საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის წინაშე დაისვას საკითხი, რომ რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ყველა ძირითადი მაჩვენებლის წარმატებით შესრულებისთვის საკუთარი სახსრებიდან ერთი თვის ხელფასით დაჯილდოვდნენ „დინამოს" (ვ. დიდიძე), „ბურევესტნიკის" (გ. ცქიტიშვილი), „სპარტაკის" (ა. კორინთელი), „ლოკომოტივის" (თ. კაჭახიძე), „შრომითი რეზერვების" (ს. მეგრელიშვილი) რესპუბლიკური საბჭოების, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს (ი. ბოჭორიძე) თავმჯდომარენი. სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ჟღენტს პრემია მიეცეს სასოფლო საზოგადოების თანხებიდან.

4. ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა ცენტრალურმა და რესპუბლიკურმა საბჭოებმა მუყაითი მუშაკები წახალისების მიზნით ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვონ.






# გამარჯვებულთ ამ საინტერესო თამაშში!

ამ დღეებში დიდი ხალხმრავლობაა „სოიუზპეჩატის" ჯიხურებთან. დიდი თუ პატარა „სპორტლოტოს" ბარათებს ყიდულობს, ავსებს და იქვე ყუთებში უშვებს. თუ მოგებული არ დარჩი, უნდა იცოდე, რომ ბარათების შესაძენად დახარჯული თანხა კეთილშობილურ საქმეს — სპორტულ ნაგებობათა აშენებას, რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის წინსვლას მოხმარდება. თუ ჯერ კიდევ არ შეგიძენია „სპორტლოტოს" ბარათები, იჩქარე, არ დააგვიანო — 10 მაისს მორიგი ტირაჟია.

ეს ორი სურათი ჩვენმა ფოტორეპორტიორმა მ. ზარგარიანმა 2 მაისს „ლოკომოტივის" სტადიონზე, თბილისის „დინამოს" და ბაქოს „ნეფთჩის" მატჩის წინ გადაიღო. მარცხნივ — „სოიუზპეჩატის" ჯიხურს ფეხბურთის გულშემატკივრები შემოხვევიან, ყველას სურს შეიძინოს „სპორტლოტოს" ბარათი. მარჯვნივ — ბარათების შევსების მომენტი.

## „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი

30 აპრილს ტალინში გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი. იღბლიანი ნომრები ასეთია: 2 (ავტოსპორტი), 4 (მთამსვლელობა), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 18 (რიკაობა), 25 (თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა), 45 (ფეხბურთი).

## მაღალი წოდება

ამ ბოლო წლებში როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბიელზე, წარმატებით გამოდის თბილისის „განთიადის" წევრი, სახელგანთქმული ძალოსანი დ. შანიძე. ახლახან ტალინში დამთავრებულ ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატში მან მეოთხედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი, ამასთან, მსოფლიო ძალოსნობის ისტორიაში ქვემსუბუქი წონის ათლეტთა შორის პირველმა გადალახა 400-კილოგრამიანი ზღვარი. ყოველივე ამის გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დიტო შანიძეს სპორტის დამსახურებული ოსტატის მაღალი წოდება მიანიჭა.

## რკინიგზელთა რესპუბლიკური

აპრილის მიწურულს თბილისში, ამიერკავკასიის რკინიგზის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში, ჩატარდა საქართველოს რკინიგზის სკოლების მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა. ფინალურ ტურნირში 6 გუნდი მონაწილეობდა (თითოეულში — 3 ვაჟი და 2 გოგონა).

ჩემპიონის სახელი მოიპოვა ამიერკავკასიის რკინიგზის ბავშვთა სპორტული სკოლის გუნდმა (ი. ეფიმოვი, კ. ბაბახანოვი, ზ. მეგრელიშვილი, მ. ვაჩეიშვილი, ლ. ოვსეპიანი, მწვრთნელი — ოსტატი მ. შიშოვი) — 18,5 ქულა 25-დან. II ადგილზე გავიდა ცხაკაიას 1-ლი სკოლა-ინტერნატის კოლექტივი (მწვრთნელი მ. ქურდოვანიძე), III — ქუთაისის 23-ე სკოლის გუნდი.

თავიანთ დაფებზე გაიმარჯვეს: I დაფაზე — ი. კლიმჩუკმა (ქუთაისის 23-ე სკოლა), II — კ. ბაბახანოვმა (თბილისის 116-ე სკოლა), III — მ. ნოდიამ, IV — ნინო ჯანჯღავამ (ორივე — ცხაკაიას 1-ლი სკოლა-ინტერნატი), V — ირინა კლიმჩუკმა (ქუთაისის 23-ე სკოლა).

გ. ბარბაქაძე,
შეჯიბრების მსაჯი.

## წიგნის თარო

### „ჭადრაკი" №3

რაც დრო გადის, გამომცემლობა „განათლების" ალმანახი „ჭადრაკი" სულ უფრო მეტ მკითხველს იძენს.

ალმანახის მე-3 ნომერში, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა, კვლავ სრულადაა წარმოდგენილი მისი ოთხივე განყოფილება — „დებიუტების კაქორია", „პარტიები და ფრაგმენტები", „საკონსულტაციო", „მეთოდური კუთხე" და „კომპოზიცია".

მკითხველი ინტერესით წაიკითხავს ნონა გაფრინდაშვილის ინტერვიუს და გ. გამრეკელის ნარკვევს „პირველი ქართველი დიდოსტატი". კარგად არის აღწერილი სხვადასხვა შეჯიბრება (I საკავშირო საჭადრაკო ოლიმპიადა მოსკოვში, თბილისის პირველობა, რესპუბლიკური საჭადრაკო კლუბის პირველობა, საქართველოს და რსფსრ-ს მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩი, ალიოხინის მემორიალი და სხვ.), მოყვანილია აქ გათამაშებული პარტიები.

ენდშპილის მოყვარულთ დააინტერესებთ წერილი „ლაზიერით მარჯვედ რომ ვითამაშოთ.", ხოლო კომპოზიციის ტრფიალნი თავიანთ განყოფილებაში ბევრ საგულისხმო მასალას გაეცნობიან.

საქართველოს ჭადრაკის მატიანის აღდგენა ყველა ქართველი მოჭადრაკის საპატიო მოვალეობაა. წერილი „იქნებ იცნობდით ხარლამპის?!" მკითხველებს სთხოვს ალმანახს მიაწოდონ ცნობები მოჭადრაკე ხ. სირბილაძის შესახებ.

ალმანახში არის იუმორი, ცნობები ახალ წიგნებზე, ჩვენს რესპუბლიკაში, სსრ კავშირსა და უცხოეთში გამართულ მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე.

# II ადგილიც კარგია!

ამას წინათ სოჭში გაიმართა 1954-56 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა საკავშირო საგაზაფხულო ტურნირი, რომელშიც ყველა მოძმე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 18 გუნდი გამოდიოდა (რსფსრ ორი გუნდით იყო წარმოდგენილი).

კოლექტივები სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფად დაიყვნენ. პირველ ჯგუფში მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინისა და ბელორუსიის 6 გუნდი გამოდიოდა, დანარჩენებმა კი მეორე ჯგუფი შექმნეს.

საქართველოს სპორტსმენები კარგად გამოვიდნენ: პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის პირველკურსელმა ვ. ხმელიძემ და თბილისის 28-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ხათელა ლაბაძემ მოზარდთა რესპუბლიკური რეკორდები გააუმჯობესეს, სხვებმა — პირადი მიღწევები.

ხმელიძემ (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვ. შმაკოვი) 4 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისი რესპუბლიკური რეკორდი ბირთვის კვრაში, რომელიც წლეულს ჰქონდა დამყარებული და I ადგილიც დაისაკუთრა. მისი შედეგია 15,60 მ. თბილისელმა სტუდენტმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა მოსწავლეთა შარშანდელი საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი, მოსკოველი ე. კუკლინი (15,59 მ), რომელსაც ბოლო ცდაზე სანტიმეტრით აჯობა.

ხ. ლაბაძემ (მწვრთნელი მ. ტულუში) ბადრო 48,24 მეტრზე ტყორცნა. ეს 88 სმ-ით სჯობს მის მიერვე შარშან დამყარებულ რესპუბლიკურ რეკორდს (ლაბაძემ 29 აპრილს თბილისში კვლავ გააუმჯობესა რეკორდი — 48,58 მეტრზე ტყორცნა ბადრო) და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. იგი II ადგილს დასჯერდა: მხოლოდ გოგონათა შორის სსრ კავშირის რეკორდსმენმა, ვოლგოგრადელმა მ. პეტროვამ აჯობა — 49,90.

ხმელიძისა და ლაბაძის გარდა, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრებში ჩაირიცხა თბილისელი ნ. ორფანოვიც, რომელმაც შუბის ტყორცნაში (67,04 მ) V ადგილი დაიკავა. პირადი რეკორდით V ადგილზე გავიდა თბილისელი ჰოკით მხტომელი ა. მარავსკიც — 430 სმ.

სიმაღლეზე მხტომელ გოგონათა შეჯიბრებაში თბილისელი მ. ალიაკრინსკაია IV ადგილს დასჯერდა (168 სმ). პირველობა ხვდა ნ. კოზეევას (რსფსრ) — 177 სმ.

სხვა პირადი შედეგებიდან აღსანიშნავია ი. კორნეევას (უკრაინა) გამარჯვება 100 მეტრზე თარჯრბენში — 14,0, ნ. ოშინიას (ლატვია) წარმატება შუბის მტყორცნელ გოგონათა შეჯიბრებაში — 53,78 მ, ა. გრიგორიევის (რსფსრ) შედეგი 400 მეტრზე რბენაში — 49,1.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს სპორტსმენებმა თავიანთ ჯგუფში მხოლოდ ლატვიელებთან წააგეს და II ადგილი მოიპოვეს.

რ. მაღრაძე.



რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში გახსნილია საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული ბავშვთა სპორტსკოლის ჯგუფები, რომლებიც ნაყოფიერად საქმიანობენ. ერთ ასეთ ჯგუფს მახარაძეში სათავეში უდგას ბირთვის კვრაში საქართველოს ექს-რეკორდსმენი ვ. ბლიაძე.

სურათზე: ვ. ბლიაძე ბადროს ტყორცნაში ავარჯიშებს ნიჭიერ გოგონას, 18 წლის ლ. პოპოვას.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## ზედიზედ მესამედ

30 აპრილს ბრატისლავაში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი კიევის „სპარტაკისა" და „ლაიპციგის" (გდრ) ხელბურთელ ქალთა გუნდებს შორის.

უკრაინელმა სპორტსმენებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს — 12:8 (7:5).

აღსანიშნავია, რომ კიევის სპარტაკელებმა ზედიზედ მესამედ მოიპოვეს ეს საპატიო პრიზი.

## 4:2

ახლახან სოჭში დამთავრდა იუნიორ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ უნგრეთის, გდრ-ის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. გუნდური ასპარეზობის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:2.

ქალთა ერთეულებში პირველობა მოიპოვა მ. კროშინამ (სსრ კავშირი), ვაჟთა ერთეულებში — ტ. ემერიჰმა (გდრ), ქალთა წყვილებში — კროშინამ და ე. ბირიუკოვამ (სსრ კავშირი), ვაჟთა წყვილებში — გ. მარკუმ და დ. ნემეშმა (ორივე — რუმინეთი), შერეულ წყვილებში — ბირიუკოვამ და ე. პოზდნიაკოვმა (სსრ კავშირი).

# ექვსი გამარჯვება

დნეპროპეტროვსკში გაიმართა 1956-57 წლებში დაბადებულთა ტურნირი, რომელშიც სსრ კავშირის თორმეტი ქალაქის მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლების გუნდები მონაწილეობდნენ. საქართველოდან სარბიელზე გამოვიდნენ რესპუბლიკის პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელები, რომლებმაც კოლექტიურობის შესანიშნავი ნიმუში გვიჩვენეს და მასპინძელთა შემდეგ II ადგილი დაიკავეს. III ადგილზე კიეველი მოსწავლეები გავიდნენ.

თბილისელებმა პირად შეჯიბრებაში 26 საპრიზო ადგილი დაიკავეს, მათ შორის, 6 პირველი და 10 მეორე.

თავი ისახელა თბილისის მე-60 სკოლის მოსწავლე ლ. გომართელმა, რომელმაც 100 მ 11,1 წამში გაირბინა. სიმაღლეზე ხტომასა და 200 მეტრზე რბენაში გამარჯვება თბილისელ გოგონებსა და ბიჭებს დარჩათ. საქართველოს რეკორდსმენმა გოგონათა შორის მზია კიკნაველიძემ 165 სმ სიმაღლე გადალახა, 133-ე სკოლის მოსწავლე ვ. მოზგოვოიმ კი 180 სმ დაძლია.

127-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ვ. ხახვიაშვილმა 200 მეტრის ვარბენას 23,5 წამი მოანდომა, გოგონებში უძლიერესს, თბილისის 128-ე სკოლის წარმომადგენელ ტ. ეროხინას კი საამისოდ 26,4 წამი დასჭირდა.

თბილისელმა მძლეოსნებმა მეექვსე გამარჯვება 4×100 მეტრზე ჭაბუკთა ესტაფეტაში დაისაკუთრეს — 45,0.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მოზარდ მძლეოსნებს მაისის დამდეგს დიდი ტურნირი ელით რიგაში, სადაც ადგილობრივი, მოსკოვის, ლენინგრადის, ტალინისა და სხვა ქალაქების მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლების აღსაზრდელები გამოვლენ.

# მსაჯი განუწყვეტლივ სტვენდა

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 2 მაისი.

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, ჩელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

„ნეფთჩი“: შეხოვი, ყულიევი, ბრუხტი, ლიოგკი, ზეინალოვი, სემიგლაზოვი, მირიკოვი, აბასოვი, ავრუცკი (სტეკოლნიკოვი), გაჯიევი (ალი-ზადე), სმოლნიკოვი.

მსაჯი ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:1.

„მცირე ფოლის ტაქტიკა“ კარგადაა ცნობილი ფეხბურთში. კოლექტიური თვალსაზრისით მას მიმართავენ იმ შემთხვევებში, როცა სურთ შეაფერხონ მოწინააღმდეგე გუნდის ტემპი, ხელი შეუშალონ მის აწყობილ თამაშს, კომბინაციურ მოქმედებას, საერთო შეტევას და ა. შ. ინდივიდუალური პრესინგის ვითარებაში კი „მცირე ფოლი“ ნიშნავს, რომ პირისპირ ბრძოლისას არ მისცე შენზე უშუალოდ გაპიროვნებულ ფეხბურთელს თამაშის საშუალება და „დელიკატური“ ჯარიმებით უვნებელყო იგი.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში „მცირე ფოლის ტაქტიკა“ წესების ელემენტარული დარღვევაა, რომლის აღკვეთა შეუძლია მხოლოდ ერთ კაცს — მსაჯს. არბიტრი მოვალეა დროზე შენიშნოს ეს არასპორტული საქციელი და არ მისცეს გუნდს სისტემატურად წესის დარღვევის საშუალება.

„ნეფთჩიმ“ მიმართა „მცირე ფოლის“ თავისებურ კომბინირებულ მეთოდს — კოლექტიურსაც და ინდივიდუალურსაც ერთდროულად. საკმარისი იყო თბილისელი თავდამსხმელები გამოჩენილიყვნენ შეტევის სახიფათო ზონაში, რომ ყულიევი, ზეინალოვი, სემიგლაზოვი, ბრუხტი და სხვანი წამსვე მიმართავდნენ აკრძალულ ხერხებს, რათა რთული მდგომარეობა დასაწყისშივე განეელებინათ და კარი ხიფათისგან ეხსნათ, ხოლო ლიოგკი სპეციალურად იყო მიჩენილი გუცაევზე და უკვე ბურთის მიღების მომენტში უმოწყალოდ სცელავდა მას. ბაქოელ მცველს ეს არ გასჭირვებია, ვინაიდან იგი გუცაევზე გაცილებით ძლიერია ფიზიკურად, უფროსია ასაკითაც და საბოლოოდ შეძლო ის, რომ თავისი ახალგაზრდა მეტოქე თითქმის მთლიანად გამოთიშა თამაშს.

თქმა იმისა, რომ მსაჯს ყოველივე ეს მხედველობიდან გამორჩა, არ იქნებოდა სწორი. პირიქით, ტაბაკოვი გამოცდილი არბიტრია, არ გამოეპარება დარღვევა და ყოველი ასეთი ინციდენტისას იგი დაუყოვნებლივ აძლევდა სასტვენს. მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, იყო დარღვევათა ფორმალური ფიქსირება, ცალკე აღებული თითოეული ჯარიმის აღნიშვნა, რომელსაც სტუმრებისთვის იოტის ოდენადაც არ შეუშლია ხელი თავიანთი ტაქტიკური მიზნის განხორციელებაში. ისინი შეგნებულად მიდიოდნენ ჯარიმებზე და არც ეშინოდათ ამისი, ვინაიდან ამ შემთხვევაში ჯარიმა ფაქტიურად მათი მხსნელი იყო, ასე ვთქვათ, გეგმის ნაწილი. ყოველი სასტვენი ნიშნავდა თბილისელთა იერიშის შეჩერებას, ტემპის დაგდებას, ყოველგვარი უსიამოვნო მოულოდნელობისგან თავის ხსნას. 45 წუთის განმავლობაში მსაჯის სასტვენი არ გაჩერებულა, თამაში ყოველ წუთს წყდებოდა, შეტევა ჩანასახშივე ქრებოდა და... ბაქოელებსაც ეს უნდოდათ.

მართალია, ტაბაკოვმა რამდენიმეჯერ მოიხმო თავისთან გუნდის კაპიტანი ვ. ბრუხტი, თავაზიანად გააფრთხილა იგი, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია: „მცირე ფოლი“ კვლავინდებურად ბატონობდა მინდორზე.

მიუხედავად ამისა, ტაიმი მთლიანად თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. ამ 45 წუთის გარშემო ცალკეულ მოთამაშეთა მიმართ პრეტენზიები ნაკლებად გვაქვს, ანსამბლს ჩამორჩებოდნენ მხოლოდ გუცაევი (ზემოხსენებული მიზეზის გამო) და გავაშელი. ამას გარდა, აღსანიშნავია ნახევარმცველთა უკიდურესად უზუსტო გადაცემები, რომელთა გამო ბევრი საუკეთესოდ წამოწყებული კომბინაცია იმსხვრეოდა „ნეფთჩის“ საჯარიმო მოედნამდე.

ანგარიში გაიხსნა მე-40 წუთზე და ნოდიას მიერ ბრწყინვალედ გატანილი ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში. თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა შორეული გადაცემა მიიღო ძოძუაშვილისგან. ბურთის მიღება და დამუშავება ბრუხტისთან უშუალო ბრძოლაში ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ნოდიამ უაღრესად რთულ ვითარებაში აჯობა ბაქოელთა სტოპერს და ოსტატურად დაარტყა — 1:0.

თუ როგორ ითამაშებდნენ ბაქოელები მეორე ტაიმში, ეს ეჭვს არ იწვევდა. განახლდა თამაში, ისინი წამსვე შეტევაზე გადავიდნენ და მდგომარეობის გამოსასწორებლად ძალ-ღონე არ დაიშურეს. შემდგომში მათ შეცვლათა მარაგი მთლიანად ამოწურეს და ტემპის შესანარჩუნებლად ორი დასვენებული თავდამსხმელი გამოიყვანეს მინდორზე.

პირდაპირ ვიტყვით: ჩვენს გუნდს ძალიან გაუჭირდა შესვენების შემდეგ. მთელ რიგ შემთხვევებში სტუმრები ისე უტევდნენ, რომ დინამოელთა კარი ბეწვზე ეკიდა. გოგიას ბრწყინვალე თამაში რომ არა, ძნელი სათქმელია როგორ შეინარჩუნებდა გუნდი გამარჯვებას. საუცხოოდ ითამაშა დაცვაში პეტრიაშვილმა, წინა ხაზზე აქტიურობდა ნოდია, ხოლო ყიფიანმა ერთხელ კიდევ გვაჩვენა თავისი შესანიშნავი პოტენციური შესაძლებლობანი. ამ მძიმე ვითარებაში იგი მოგვევლინა როგორც ჩამოყალიბებული, პირველხარისხოვანი ოსტატი. მისმა მაღალკვალიფიციურმა თამაშმა დიდი როლი შეასრულა გამარჯვებაში.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ხურცილავა და ძოძუაშვილი, რომლებმაც 30 აპრილს უმძიმესი დატვირთვა გადაიტანეს ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში, ხოლო შემდეგ — დამქანცავი გზა განვლეს, არ იყვნენ სათანადო ფორმაში და, ბუნებრივია, შეცდომები ჰქონდათ. ცუდად ითამაშა ნახევარდაცვის ხაზმაც. ვფიქრობთ, მეორე ტაიმის ბოლოსთვის ურიგო არ იქნებოდა, თუ ჩვენი გუნდის დაცვაში მინდორზე გამოვიდოდნენ დასვენებული მოთამაშეები. მათი დახმარება აუცილებელი იყო.

მაგრამ კარგია ყველაფერი, რაც კარგად მთავრდება. ასე კარგად დამთავრდა უძნელესი მატჩი „ნეფთჩისთან“.

ბ. ქორქია.

* * *



სურათზე: დ. ყიფიანი (ბურთით) თამაშის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ქალაქები, გოლები, ქულები

2 და 3 მაისს შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

„ტორპედო“ — „სპარტაკი“ 2:1.

ერთობ მარცხიანი სტარტის შემდეგ ტორპედოელებმა, როგორც იქნა, კარგად ითამაშეს და პირველი გამარჯვება მოიპოვეს. ბურთები გაიტანეს ნიკონოვმა და სმირნოვმა. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორია ანდრეევი.

„ზენიტი“ — ასკ 2:0.

ლენინგრადელები განაგრძობენ გამარჯვებათა გზით სვლას. ზინჩენკომ და სადირინმა 2 უპასუხო გოლი გაიტანეს როსტოველთა კარში.

„დნეპრი“ — „ლოკომოტივი“ 1:0.

დნეპროპეტროვსკელებს გამარჯვება მოუტანა შნეიდერმანის ერთადერთმა გოლმა.

„ზარია“ — ცსკა 1:0.

გათამაშების ლიდერმა „ზარიამ“ ამჯერადაც ისევ ენერგიულად ითამაშა. მატჩი თავიდანვე მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მისი ბედი გადაწყვიტა ონიშჩენკოს მიერ 62-ე წუთზე არმიელთა კარში გატანილმა ბურთმა.

„არარატი“ — „ყაირატი“ 1:1.

პიუნოვსკის მიერ 35-ე წუთზე ზუსტად გატანილმა პენალტმა ალმაათელები დააწინაურა. 12 წუთის შემდეგ ზანაზანიანმა შეძლო საპასუხო ბურთის გატანა.

„დინამო“ (ვოროშილოვგრადი) — „კარპატი“ 3:2.

ანგარიში 33-ე წუთზე გახსნა ჟუკოვმა, ხოლო 2 წუთის შემდეგ კოზლოვმა მეორედ აიძულა ლვოველები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. შესვენების შემდეგ 1 ბურთი გაქვითა ბროვარსკიმ. შემდგომში ევრიუჟიხინმა კვლავ ორი ბურთით დააწინაურა მოსკოველები და უკვე მატჩის დასასრულს პოტოჩნიაკმა მეორე საპასუხო გოლი გაიტანა.

„დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მინსკი) 4:2.

მე-4 წუთზე ანგარიში იყო 1:1. კიეველი ბლოხინის ბურთს მაშინვე მოჰყვა კურნევის საპასუხო გოლი. შემდეგ მუნტიანმა (პენალტი), ბლოხინმა და კოლოტოვმა ანგარიში აიყვანეს 4:1-მდე მასპინძელთა სასარგებლოდ. შესვენების შემდეგ მინსკელმა მალოფეევმა ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა და კიეველებმა მორიგი 2 ქულა ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 5 | 4 | 1 | 0 | 8—1 | 9 |
| „ზენიტი“ | 5 | 3 | 2 | 0 | 10—5 | 8 |
| „დინამო“ (კ.) | 5 | 4 | 0 | 1 | 9—6 | 8 |
| „დინ.“ (თბ.) | 5 | 3 | 1 | 1 | 5—1 | 7 |
| ცსკა | 5 | 3 | 0 | 2 | 6—4 | 6 |
| „დნეპრი“ | 5 | 2 | 2 | 1 | 8—7 | 6 |
| „ლოკომოტივი“ | 5 | 1 | 3 | 1 | 2—2 | 5 |
| „არარატი“ | 4 | 1 | 2 | 1 | 7—3 | 4 |
| „დინამო“ (მ.) | 4 | 2 | 0 | 2 | 5—4 | 4 |
| „ყაირატი“ | 5 | 0 | 4 | 1 | 3—4 | 4 |
| „დინ.“ (მნ.) | 5 | 1 | 2 | 2 | 4—6 | 4 |
| „ნეფთჩი“ | 5 | 2 | 0 | 3 | 3—5 | 4 |
| „სპარტაკი“ | 5 | 1 | 1 | 3 | 4—7 | 3 |
| „ტორპედო“ | 5 | 1 | 1 | 3 | 3—11 | 3 |
| „კარპატი“ | 5 | 1 | 0 | 4 | 4—8 | 2 |
| ასკ | 5 | 0 | 1 | 4 | 1—9 | 1 |

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### I ლიგა

### ქუთაისელთა წარმატება

2 და 3 მაისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელებს ძალიან ძნელი შეხვედრა ჰქონდათ ოდესაში ადგილობრივ „ჩერნომორეცთან“. ქუთაისელებმა საუცხოოდ ითამაშეს და დაამარცხეს მეტოქე — 1:0.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „პამირი“ (დუშანბე) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 2:0, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ალგა“ (ფრუნზე) 1:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 2:2, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ზვეზდა“ (პერმი) 0:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 2:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) 2:2, „კრივბასი“ (კრივოი როგი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 0:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 0:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შინიკი“ | 6 | 4 | 1 | 1 | 6—2 | 9 |
| „ტორპედო“ | 5 | 4 | 0 | 1 | 9—2 | 8 |
| „შახტ.“ (დონ.) | 6 | 2 | 4 | 0 | 7—3 | 8 |
| „ფახთაქორი“ | 6 | 3 | 2 | 1 | 5—4 | 8 |
| „კრივბასი“ | 6 | 2 | 3 | 1 | 8—7 | 7 |
| „შახტ.“ (ყარ.) | 6 | 2 | 3 | 1 | 6—5 | 7 |
| „მეტალისტი“ | 6 | 2 | 3 | 1 | 6—5 | 7 |
| „ზვეზდა“ | 6 | 2 | 3 | 1 | 4—3 | 7 |
| „ჩერნომორ.“ | 6 | 2 | 2 | 2 | 11—7 | 6 |
| „კრ. სოვეტ.“ | 6 | 0 | 6 | 0 | 7—7 | 6 |
| „მეტალურგი“ | 6 | 1 | 3 | 2 | 6—6 | 5 |
| „ავტომობ.“ | 5 | 1 | 3 | 1 | 6—6 | 5 |
| „სპარტაკი“ | 6 | 2 | 1 | 3 | 6—7 | 5 |
| „სტროიტელი“ | 6 | 2 | 1 | 3 | 6—8 | 5 |
| „ნისტრუ“ | 6 | 2 | 1 | 3 | 2—5 | 5 |
| „პამირი“ | 6 | 1 | 3 | 2 | 3—8 | 5 |
| „ურალმაში“ | 6 | 1 | 2 | 3 | 7—8 | 4 |
| „ალგა“ | 6 | 0 | 4 | 2 | 2—4 | 4 |
| „დინამო“ | 5 | 1 | 1 | 3 | 3—6 | 3 |
| „ტექსტილ.“ | 5 | 0 | 2 | 3 | 4—11 | 2 |

### II ლიგა III ზონა

### 2 მაისს

გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრები.

ჩვენი რუსთაველი კორესპონდენტი რ. ბაბრიშიძე გვატყობინებს ადგილობრივ „მეტალურგსა“ და ზონის ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ მაიკოპის „დრუჟბას“ შორის იქ ჩატარებული მატჩის შესახებ.

რუსთაველი ფეხბურთის მოყვარულნი ბევრს მოელოდნენ თავიანთი გუნდისგან, რომელიც სულ ახლახან დამარცხდა მახარაძეში, მაგრამ „მეტალურგმა“ საკუთარ მინდორზეც ვერ ითამაშა კარგად. გუნდი მოქმედებდა დუნედ, უხალისოდ, გადაცემებისას ხშირი შეცდომებით, ხოლო იმ რამდენიმე მომენტში, რომლებიც მოწინააღმდეგის კართან შეიქმნა, თავდამსხმელები ერთობ არაზუსტად ურტყამდნენ.

„დრუჟბამ“ მთელი ძალით ითამაშა და საჭირო ქულაც აიღო — 0:0.

გორში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დილა“ და სოხუმის „დინამო“. ჩვენი კორესპონდენტი ბ. ბოზალიშვილი გვატყობინებს:

„უხეიროდ აღებული სტარტის მერე „დილამ“ კარგად დაიწყო ეს მატჩი და ზედიზედ განხორციელებული რამდენიმე სწრაფი იერიშის შემდეგ წარმატებასაც მიაღწია: მე-13 წუთზე ბურჯანაძემ ინდივიდუალური კარლვევა შეასრულა მარცხენა ფლანგზე, გაექცა მცველებს და ზუსტად გადააწოდა ცენტრში, სადაც ქერდიკაშვილს არ გასჭირვებია გადამწყვეტი დარტყმა — 1:0.

დასაწყისი კარგი იყო, მაგრამ გორელებმა ვერ შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება გავიდა სულ ცოტა ხანი, სოხუმელებმა მოფიქრებულად გაითამაშეს საჯარიმო დარტყმა და ერქომაიშვილმა ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

მეორე ტაიმში „დილას“ საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მისი რეალიზება გუნდმა ვერ შეძლო. იგრძნობოდა უსისტემო თამაში, არაორგანიზებულობა, თავდამსხმელები ხშირად კარგავდნენ ბურთს. ტაიმის დასასრულს ტემპი საგრძნობლად დაეცა და ანგარიშიც უცვლელი დარჩა“.

## რუდაკოვი, ხურცილავა, ძოძუაშვილი...

ეს გვარები არ სცილდება გაზეთების ფურცლებს, რომლებიც კომენტარს უკეთებენ ევროპის ჩემპიონატის ამასწინანდელ მეოთხედფინალურ მატჩს იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელმა ვ. ბოშკოვმა ხაზი გაუსვა თამაშის უკიდურეს დაძაბულობას. მისი აზრით, იუგოსლავიელებს გარკვეული ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ მეორე ტაიმში, მაგრამ ვერ შეძლეს თუნდაც ერთი ბურთის გატანა. ბოშკოვი საბჭოთა გუნდიდან გამოჰყოფს ხურცილავასა და კონკოვს.

საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა ნ. გულიაევმა აღნიშნა, რომ შეხვედრის შედეგით კმაყოფილია და განმეორებით მატჩს საბჭოთა ნაკრები შემტევ სტილში წარმართავს, რისთვისაც მოსალოდნელია შესაბამისი ცვლილებები შემადგენლობაში. გულიაევმა მეტოქის გუნდში გამოჰყო ბუკალი, პავლოვიჩი და აჩიმოვიჩი, ხოლო საბჭოთა ფეხბურთელთაგან საგანგებოდ აღნიშნა რუდაკოვი, ხურცილავა და ძოძუაშვილი.

საბჭოთა გუნდის ამ სამი მოთამაშის — მეკარე რუდაკოვის, მარჯვენა მცველ ძოძუაშვილისა და ცენტრალურ მცველ ხურცილავას საუკეთესო თამაშს განვლილ მატჩში ხაზს უსვამენ იუგოსლავიური გაზეთებიც, აგრეთვე, სხვა ქვეყნების მიმომხილველები, რომლებიც მატჩს ესწრებოდნენ.

მ. ხურცილავას და რ. ძოძუაშვილს საგანგებოდ გამოჰყოფს საბჭოთა პრესაც. კერძოდ, „სოვეტსკი სპორტმა“ მათ თამაშს უნაკლო უწოდა.

### თასი ქარში

ასე დამთავრდა: „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „დინამო“ (ბრიანსკი) 2:0, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „ზვეზდა“ (ტირასპოლი) 1:0, „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:3, „სალუტი“ (ბელგოროდი) — „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) 1:1, „დინამო“ (ბათუმი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 4:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:1, „სპარტაკი“ (ოოოოლი) — „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) 0:0.

# 2 ივლისს რეიკიავიკში

3 მაისს მოსკოვში სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ ფიდე-ს პრეზიდენტის, პროფესორ მ. ეივეს დეპეშა მიიღო. პრეზიდენტი იტყობინება, რომ ბ. სპასკი—რ. ფიშერის მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე რეიკიავიკში (ისლანდია) დაინიშნა. მატჩი 2 ივლისს დაიწყება.

## [illegible]-72

მაისის პირველ დღეებში ბევრი საინტერესო შეჯიბრება გაიმართა.

● მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში 2 მაისს დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალურმა მატჩმა ჰოკეიში — ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ვოსკრესენსკის „ხიმიკი“. ფინალის გზაზე, 30 აპრილს „ხიმიკმა“ ნახევარფინალურ თამაშში ჩელიაბინსკში ანგარიშით 4:2 დაამარცხა ადგილობრივი „ტრაქტორი“, ხოლო მოსკოვის დინამოელებმა თანაქალაქელ სპარტაკელებს სძლიეს — 5:1. ფინალური მატჩი დინამოელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:0. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მოსკოვის „დინამომ“ თასი პირველად 1953 წელს მოიპოვა და ახლა ეს მეორე წარმატებაა, თუმცა ფინალში ხუთჯერ გავიდა.

● ვარშავა. მეგობრული არმიების ველოსიპედისტთა ჯგუფურ რბოლაში ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა პოლონელმა ს. შოზდამ, რომელმაც ქალაქის ქუჩებში 80 კმ (32 წრე) 1 საათში, 41 წუთსა და 27 წამში დაფარა. მასპინძელთა გარდა სტარტზე გდრ-ის, სსრ კავშირის, მონღოლეთისა და ჩეხოსლოვაკიის ველოსიპედისტები გამოვიდნენ, სულ — 115 არმიელი სპორტსმენი. კუიბიშეველმა ვ. კირიჩენკომ V ადგილი დაიკავა, კიშინიოველმა ი. პოლუპანოვმა — VII, კუიბიშეველმა ნ. სიტნიკმა — XI.

● ჟენევა. დაშნით მოფარიკავეთა საერთაშორისო შეჯიბრება „ბერნის დიდ პრიზზე“ დამაჯერებლად მოიგო საბჭოთა გუნდმა (ვალეტოვი, ვიტებსკი, კრისი, მოძალევსკი და პარამონოვი). 13 ქვეყნის 245 მონაწილეს შორის პირად ჩათვლაში საუკეთესო აღმოჩნდა ალმაათელი ი. ვალეტოვი (4 მოგება ფინალში). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გფრ-ის წარმომადგენელი ი. ხენბი და შვედი ჰ. იაკობსონი. IV ადგილი დაიკავა კიეველმა ი. ვიტებსკიმ. უძლიერესი საკლუბო გუნდის პრიზიც საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ — ცსკა-ს ნაკრებს (ვალეტოვი, დონინი, მოძალევსკი). საბჭოთა მოფარიკავეები მეორედ მონაწილეობენ ამ ტრადიციულ ტურნირში, რომლის შედეგები მსოფლიო თასის გათამაშების ჩათვლაში შედის. ვალეტოვს ახლა IV ადგილი უჭირავს 50 ქულით.

● ბერლინი, გდრ-ის დედაქალაქში გამართულ 68-კილომეტრიან „კრიტერიუმში“ გაიმარჯვა გერმანელმა ველოსიპედისტმა მ. მილდემ — 1:29.36. II ადგილი დაიკავა მისმა თანაგუნდელმა ზ. კრამერმა, ხოლო III — რიგელმა რ. კალნენიექსმა. დანარჩენი საბჭოთა ველოსიპედისტების შედეგები ასეთია: ტაშკენტელი ა. დაკუსარი — IV ადგილი, დუშანბელი ხ. ჰუსეინოვი — VIII, მოსკოველი ე. სმეტანინი — X.

● ჰენგელი (ჰოლანდია). აქ დაიწყო „დიდი ოლიმპიური ტურნირი“ საერთაშორისო შაშში. ასეთი შეჯიბრება ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა და გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონის წოდებას იხვეჭს. ამჯერად ტურნირმა არნახულად ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი (კენჭისყრის მიხედვით): 1. აგლიარდი (მონაკო), 2. დიუკენი (შვეიცარია), 3. იზარი (საფრანგეთი), 4. ბაბა სი (სენეგალი), 5. სეიბრანდსი (ნიდერლანდები), 6. სმითი (აშშ), 7. ალიაჩი (სურინამი), 8. ფერპოსტი (ბელგია), 9. იანეჩეკი (ჩეხოსლოვაკია), 10. დელორიე (კანადა), 11. დელიომი (საფრანგეთი), 12. ფონელი (იტალია), 13. ანდრეიკო, 14. კუპერმანი (ორივე — სსრ კავშირი), 15. ვირსმა (ნიდერლანდები), 16. განტვარგი (სსრ კავშირი), 17. ლაპორტა (იტალია). I ტურში ანდრეიკომ დაამარცხა სმითი, განტვარგმა — იზარი, ვირსმამ — ბაბა სი, დელორიემ — იანეჩეკი, დიუკენმა — ლაპორტა. კუპერმანმა ყაიმით დაამთავრა პარტია სეიბრანდსთან, ხოლო ფონელიმ — დელიომთან.

● ენციო (აშშ). ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა სპრინტში, დ. მორელონმა (საფრანგეთი) მოიგო „აშშ-ს გრან-პრი“ ველოსპორტში. ფინალში მან ავსტრალიელ ჯ. ნიკოლსონს აჯობა, მესამე, გადამწყვეტი სერიის ბოლო 200 მ 11,6 წამში დაფარა. III ადგილისთვის ბრძოლაში დანიელმა ნ. ფრედბორგმა დაამარცხა აშშ-ს ჩემპიონი ჰ. კემპბელი.

● მურმანსკი. აქ ისევ თოვლი დევს და ქალაქის 18 სპორტული კოლექტივის თითქმის 150 წარმომადგენელმა — მეზღვაურებმა, შოფრებმა, მეთევზეებმა მაისის ტრადიციული პრიზი „იმიერპოლარეთის გაზაფხული“ გაითამაშეს. მოთხილამურეები 34-ე კილომეტრზე — დიდების სახელგანთქმულ ველზე — გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლების ადგილზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ტურნირს ქარბუქი დაესწრო, მაგრამ ასპარეზობა ზუსტად გრაფიკის მიხედვით ჩატარდა. 5-კილომეტრიან ესტაფეტაში ყველას აჯობა საზღვაო თევზის მიმღები პორტის გუნდმა, რომელსაც ჩრდილოეთში პოპულარული ვეტერანი სპორტსმენი ა. ხრაპოვიცკი ედგა სათავეში.

● ლენინგრადი. აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველი ფინალური შეხვედრა ადგილობრივი „სპარტაკისა“ და ბელგრადის „ვოჟდოვაცის“ ქალთა კოლექტივებს შორის. ლენინგრადელ კალათბურთელთა უპირატესობა აშკარა იყო: მათ დამსახურებულად გაიმარჯვეს — 84:63.

● რომი. იტალიის ღია ჩემპიონატში დიდი წარმატება მოიპოვა მოსკოველმა ჩოგბურთელმა ო. მოროზოვამ. იგი გავიდა როგორც ერთეულების, ისე ქალთა წყვილების ფინალში. ნახევარფინალში მან სძლია გ. შანფროს (საფრანგეთი) — 2:6, 6:1, 6:3, მაგრამ ფინალური მატჩი ლ. ტუეროსთან (აშშ) წააგო — 4:6, 3:6. წყვილთა ნახევარფინალში მოროზოვამ და ლ. ჰანტმა (ავსტრალია) დაამარცხეს ვ. უეიდი და ნ. ტრუმენი (დიდი ბრიტანეთი) — 7:6, 6:3. მოროზოვამ და ჰანტმა ფინალური მატჩიც აღმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს რ. ვიდოსთან (იტალია) და შანფროსთან — 6:3, 6:4. თბილისელმა ა. მეტრეველმა მეოთხედფინალში წააგო მ. ორანტესთან (ესპანეთი) — 4:6, 1:6. ვაჟთა წყვილების ასპარეზობაში მეტრეველი ესპანელ ხ. გისბერტთან ერთად გამოდიოდა. ამ ინტერნაციონალურმა დუეტმა მეოთხედფინალში დაამარცხა იტალიელთა წყვილი ა. პანატა და ნ. პიეტრანჯელი (5:7, 6:3, 6:4), მაგრამ ნახევარფინალში ფარ-ხმალი დაყარა რუმინელებთან ი. ცირიაკთან და ი. ნესტასესთან (4:6, 5:7, 5:7).

● მაროკო. მოფარიკავეთა აქ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა სპორტსმენებს კარგი დებიუტი ჰქონდათ: ოქროს მედლები გადაეცათ მინსკელ ტ. სამუსენკოს და ჰაბუკებს — ალმაათელ რაპირისტ ს. ისაკოვსა და ერევნელ ა. კარაქიანს (დაშნა).

● სტოკტონ-ონ-ტისი. ინგლისის ამ ქალაქში გამართული ტრადიციული საერთაშორისო „ტისაიდ-ტურნირის“ დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე I ადგილი გაინაღდა დანიელმა დიდოსტატმა ბ. ლარსენმა — მას 11 ქულა დაუგროვდა 14-დან, მაშინ, როცა მის უახლოეს მდევრებს — ლ. ლიუბოევიჩსა (იუგოსლავია) და ლ. პორტიშს (უნგრეთი) 9-9 ქულა ჰქონდათ. ტურნირმა ძლიერ მოჭადრაკეებს მოუყარა თავი. ზემოდასახელებულთა გარდა აქ იყვნენ გეორგიუ (რუმინეთი), გლიგორიჩი, პარმა (ორივე — იუგოსლავია), ბილეკი (უნგრეთი), ტრინგოვი (ბულგარეთი), ანდერსონი (შვეცია). საბჭოთა მოჭადრაკეები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

კალათბურთი

# სამ წრედ

როგორც ვიუწყებოდით, იუგოსლავიაში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა სამწრიანი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. თავდაპირველად ასპარეზობა პატარა ქალაქ ჩაჩაკში ჩატარდა. აქ წარმატებას მიაღწიეს მასპინძლებმა, რომლებსაც ორი ნაკრები გამოჰყავთ. იუგოსლავიის ტელემაყურებელთა მიერ შედგენილმა გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში სძლია სსრ კავშირის ნაკრებს — 72:71, მსოფლიო ჩემპიონმა — იუგოსლავიის ნაკრებმა კი ბრაზილიის ეროვნულ გუნდს — 88:73.

შემდეგ მოასპარეზეებმა იუგოსლავიის დედაქალაქში გადაინაცვლეს. აქ საბჭოთა კალათბურთელებმა ლამაზი გამარჯვება მოიპოვეს ბრაზილიელებთან ორთაბრძოლაში — 74:58. ამ მატჩში მთელი 40 წუთის მანძილზე უპირატესობა სტუმრები ფლობდნენ, თუმცა ანგარიშში სხვაობა დიდხანს არც ისე დიდი იყო. ტაიმი საბჭოთა გუნდმა 6 ქულით მოიგო, 33-ე წუთისთვის კი უკვე საგრძნობლად დაწინაურდა — 64:44. ამ მომენტიდან მოყოლებული, შეხვედრის ბედი ეჭვს არ იწვევდა.

სსრ კავშირის ნაკრებში ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელები იყვნენ ჟარმუხამედოვი (16 ქულა), ს. ბელოვი (14), ანდრეევი და პაულაუსკასი (10-10).

# ორივეჯერ ერთნაირი სხვაობით

ტალინი. აშშ-ს კალათბურთელთა ოლიმპიურმა გუნდმა ორი მატჩი ჩაატარა ესტონეთის ნაკრებთან და ორივე მოიგო.

პირველ შეხვედრაში დიდხანს უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო. ამერიკელებმა მდგომარეობა მხოლოდ ტაიმის მიწურულს გამოასწორეს — 41:41.

შესვენების შემდეგ ინიციატივას სტუმრები დაეუფლნენ, რომლებმაც 30-ე წუთისთვის შეცვალეს ბრძოლის ხასიათი და ბოლოს წარმატებასაც მიაღწიეს — 70:65.

მეორე მატჩიც მძაფრი ბრძოლით აღინიშნა და, როგორც წინა შეხვედრაში, ამერიკელებმა ამჯერადაც 5-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს — 80:75.

# ფეხბურთის მინდვრებზე

ვულვერჰემპტონი, 3 მაისი. უეფა-ს თასის გათამაშების პირველ ფინალურ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის გუნდები „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ და „ტოტენჰემ ჰოტსპური“. შეხვედრა დამთავრდა „ვულვერჰემპტონის“ დამარცხებით — 1:2. გამარჯვებულთაგან ორივე გოლი ჩივერსმა გაიტანა (57-ე და 88-ე წუთებზე). ერთადერთი საპასუხო ბურთის ავტორია მაკალიოვი (71-ე წ.). განმეორებითი მატჩი 17 მაისს შედგება „ტოტენჰემის“ მინდორზე.

მატჩს სჯიდა საბჭოთა არბიტრების ბრიგადა: მსაჯი მინდორზე — ტ. ბახრამოვი (ბაქო), დამხმარეები — ა. მილჩენკო (სოხუმი) და ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

ათენი, 3 მაისი. ახალგაზრდა ფეხბურთელთა ევროპული პირველობის მეოთხედფინალურ მატჩში ბერძნებმა დაამარცხეს დანიის ნაკრები — 5:0. საბერძნეთის გუნდი ნახევარფინალში შეხვდება ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის კოლექტივთა შორის გამარჯვებულს.

ბელოსტოკი, 3 მაისი. პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

როტერდამი, 3 მაისი. პერუს ნაკრებმა აქ წააგო ჰოლანდიელებთან — 0:3 (0:2).

კოპენჰაგენი, 3 მაისი. ინგლისისა და დანიის ოლიმპიური ნაკრები გუნდების ამხანაგურმა შეხვედრამ წარმატება ინგლისელებს მოუტანა — 2:1.

## 2 : 0

ვინიცა. ადგილობრივი „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდმა ანგარიშით 2:0 დაამარცხა მაროკოს კლუბების ნაკრები.

# ალიმ სძლია ჩუვალოს

ვანკუვერი, 3 მაისი. კანადის ამ ქალაქის „პასიფიკ კოლიზეუმის“ დარბაზში მოსული 17 ათასი მაყურებელი მხურვალედ მიესალმა მსოფლიოს მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა ექს-ჩემპიონს, ამერიკელ მ. ალის, რომელმაც 12-რაუნდიან ორთაბრძოლაში სძლია კანადელ ჯ. ჩუვალოს.

ეს ალის მეხუთე გამარჯვებაა მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე ჯ. ფრეზიერთან (აშშ) მატჩის წაგების შემდეგ.

ალიმ განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს ზაფხულში კვლავ „გადაუგდოს ხელთათმანი“ ფრეზიერს.

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო ... 19 45

◆ ბელგრადი, 4 მაისი. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ბელგრადის ტელევიზიის პრიზზე აქ დამთავრებულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში III ადგილი დაიკავა, შეჯიბრების ბოლო მატჩი წააგო მსოფლიო ჩემპიონთან — იუგოსლავიის ნაკრებთან — 92:99 (45:54). I ადგილზეა იუგოსლავიის ეროვნული გუნდი, რომელმაც სამივე შეხვედრა მოიგო. II ადგილი დაისაკუთრა იუგოსლავიის ტელემაყურებელთა მიერ შედგენილმა ნაკრებმა (2 მოგება), ხოლო ბოლო, IV ადგილზე აღმოჩნდნენ ბრაზილიელები, რომლებმაც ყველა თამაში წააგეს.

◆ ჰელსინკი, 4 მაისი. სსრ კავშირიდან აქ ჩამოსულმა იაპონიის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ფინეთის ეროვნულ გუნდთან ორი მატჩი გამართა და ორივე მოიგო: ტურკუში — 3:0 (15:3, 15:9, 15:2), ჰელსინკში — 3:0 (15:4, 15:2, 15:4). ამ შეხვედრებში თავი გამოიჩინეს მორიტამ, ეკოტამ და მინამიმ. ფინეთის გუნდში ჭაბუკთა ნაკრების რამდენიმე წარმომადგენელი თამაშობდა.

◆ ტოკიო, 4 მაისი. დევისის თასის მრავალგზის მფლობელმა — ავსტრალიის ჩოგბურთელთა გუნდმა ამ პრიზის გათამაშების აზიის ზონის ნახევარფინალში „იაპონური ზღუდე“ გადალახა — ანგარიშით 4:1 სძლია ამომავალი მზის ქვეყნის ნაკრებს (შარშან ავსტრალიელებმა სენსაცია მოახდინეს სპორტულ სამყაროში, ახლანდელ მეტოქესთან წააგეს — 2:3). ზონის ფინალში ავსტრალიელები ინდოეთის გუნდს შეხვდებიან.

◆ პრაღა, 4 მაისი. ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრების კაპიტანმა, ამაწლინანდელი მსოფლიო და ევროპული ჩემპიონატის საუკეთესო მცველმა ფ. პოსპიშილმა I ადგილი დაიკავა პრაღის ყოველკვირეულ „გოლის“ გამოკითხვაში — „ვინ არის ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო ჰოკეისტი წლეულს?“ ჯილდოდ მას პრიზი „ოქროს ჰოკეჯოხი“ გადაეცემა. „გოლის“ ანკეტაში II ადგილზეა ირჟი ჰოლიკი, III ადგილზე — ვ. ძურილა.

◆ ბიდგოშჩი, 4 მაისი. პოლონეთის ამ ქალაქში გაიმართა მასპინძელი ქვეყნისა და შვეიცარიის ტანმოვარჯიშე ვაჟთა ნაკრები გუნდების მატჩი. გაიმარჯვეს პოლონელებმა — 548,35:540,55. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ცნობილმა პოლონელმა სპორტსმენმა სილვესტრ კუბიცამ — 110,65 ქულა.

# უპირატესობა — დედაქალაქს

პრაღა. 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში ჰელსინკში გაიმართება. შეჯიბრების მოწყობაზე ბოლო დღემდე ფინეთის მეორე ქალაქი ტამპერეც აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ ვინაიდან აქ 1965 წელს ჩატარდა მსოფლიო პირველობა, ფინეთის ჰოკეის კავშირის ხელმძღვანელობამ უპირატესობა თავისი ქვეყნის დედაქალაქს მიანიჭა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული [illegible]

ხელბურთი. კიროვის სახელობის პარკი. 6-10 მაისი. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური შეჯიბრება თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის ნაკრებ გუნდებს შორის (მონაწილეობენ ვაჟთა და ქალთა კოლექტივები). დასაწყისი 10 ს.

რეგბი. „შრომითი რეზერვების“ სტადიონი. 5, 7-9 მაისი. საქართველოს ჩემპიონატი. დასაწყისი 10 და 17 ს.

მძლეოსნობა. ლენინის სახელობის სტადიონი. 5-6 მაისი. თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 16 ს.

ცურვა. საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის აუზი. 5 მაისი. თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 15 ს.

„დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონი

(სტალინის სახ. სანაპირო № 2)

5-7 მაისი

ჩოგბურთი

დევისის თასი

სსრ კავშირი (ნაკრები) — უნგრეთი (ნაკრები)

დასაწყისი: 5 და 7 მაისს — 14 ს., 6 მაისს — 15 ს.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი, „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ფიზკულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის პროფესორი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე

**მიხეილ ანთიმოზის ძე გორგაძე**

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს. პანაშვიდი — 5 მაისს, კალანდაძის ქ. № 33. გამოსვენება 6 მაისს ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობიდან, 17 საათზე (ჭავჭავაძის პრ. № 49).

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 04517